



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010115748470318

01 / ოქტომბერი / 2018 წ.
1022/ს

სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (იფანის, მუხის, ნეკერჩხალი, რცხილა, ცაცხვი, წიფელა და ჯაგრცხილას ჯიშის მრგვალი ხე-ტყე (შეშა)-სულ - 477.94 მ3 საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N316) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 14 სექტემბრის დასკვნის N5005847418, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 24 სექტემბრის N09/19152 მოხსენებითი ბარათის, 2018 წლის 27 სექტემბრის N09/36031; 2018 წლის 28 სექტემბრის N09/36149 და 2018 წლის 28 სექტემბრის N09/36280 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N316 ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ალგეთის სატყეო უბანი ხრამის სატყეო N79,92,93 კვარტალში სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 477,94 მ³ ფოთლოვანი სახეობის (იფანი, მუხა, ნეკერჩხალი, რცხილა, ცაცხვი, წიფელა და ჯაგრცხილა) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (შეშის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლებამოსილებები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის ქ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.